შეთანხმების აქტი N02/86-3

22.02.2023 წლის N02/86 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

ქ. თბილისი **30 მარტი 2023 წელი**

ერთი მხრივ,
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური
წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის - **იულია ტყეშელაშვილის** სახით,
მის: ქ. თბილისი, ზ. ანჯაფარიძის ქ.N27,
საიდენტიფიკაციო კოდი: 205360223,
სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22,
ა/ა GE24NB0330100200165022
(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორე მხრივ,
შპს ,,ვივამედი“
წარმოდგენილი დირექტორის - **თეიმურ მახმუდოვის** სახით,
მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. ნაკვეთი 14/470
საიდენტიფიკაციო კოდი: 404879663
სს ,,საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE20BG0000000834554500
(შემდგომში „მიმწოდებელი“)

2023 წლის 22 თებერვალს გაფორმებული N02/86 ხელშეკრულების მე-10 მუხლის, 2023 წლის 30 მარტის №01/110320 მოხსენებითი ბარათის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის და სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. 2023 წლის 22 თებერვლის N02/86 ხელშეკრულებაში შევიდეს ცვლილება და ხელშეკრულების დანართი N1-ში (პრეისკურანტი) ჩასწორდეს არსებული სამედიცინო მომსახურებები:

	კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპია:	
დასახელება	**განმარტება**	**ფასი (ლარი)**
20001	ინტენსიური მკურნალობა/მოვლა პაციენტებისთვის, რომლებიც ვიტალური ფუნქციების მოსალოდნელი გაუარესების გამო, საჭიროებენ მუდმივ ინტენსიურ მეთვალყურეობას და ფარმაკოლოგიურ ან/და მინიმალურ აპარატურულ მხარდაჭერას ან/და თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიას**. ეს პაციენტები იმყოფებიან ერთი ან მეტი სასიცოცხლო ფუნქციის უკმარისობის განვითარების რისკის ქვეშ, მათ შორის, არიან პაციენტები, რომელთაც მოეხსნათ ერთი ან მეტი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა, მაგრამ მათი მდგომარეობა ჯერ კიდევ არასტაბილურია. ამასთან, ამ სტანდარტის ფარგლებში, განხილულია მხოლოდ „I დონის ინტენსიური მკურნალობა/მოვლის დაზუსტება“ – ფორმაში მოცემული ნოზოლოგიების ჩამონათვალი და არ ითვალისწინებს პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში 24 საათზე ნაკლები დროით დაყოვნებას.	240.00
30001	ინტენსიური მკურნალობა/მოვლა პაციენტებისთვის, რომლებსაც აღენიშნებათ:	440.00
	1. ერთი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა (გარდა თირკმლის მწვავე უკმარისობისა, რომელიც საჭიროებს მხოლოდ თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიას) და საჭიროებენ ფარმაკოლოგიურ და ერთი სასიცოცხლო ფუნქციის აპარატურულ მხარდაჭერას (მართვითი სუნთქვა).	
	2. 2 ან მეტი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა, საჭიროებენ 2 ან მეტი სასიცოცხლო ფუნქციის აპარატურულ მხარდაჭერას (მაგ., მართვითი სუნთქვა, თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია**) და/ან	
	3. ერთი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა, საჭიროებენ ერთი სასიცოცხლო ფუნქციის აპარატურულ მხარდაჭერას (მაგ., მართვითი სუნთქვა, თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია**) და პარენტერალურ კვებას და/ან	
	4. ერთი სასიცოცხლო ფუნქციის მწვავე უკმარისობა და ნოზოკომიური ინფექცია, საჭიროებენ ერთი სასიცოცხლო ფუნქციის აპარატურულ მხარდაჭერას (მაგ., მართვითი სუნთქვა, თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია**).	

500000011	თირკმლის მწვავე უკმარისობის დროს, უშუალოდ დიალიზის ერთი სეანსის ღირებულება	120.00
800000011	სისხლის და სისხლის კომპონენტების გადასხმის ერთი ტრანსფუზიის სრული ღირებულება	80.00
R0DGE-001S	თერაპიული საწოლდღე, კონსერვატიული მკურნალობა (არ მოიცავს კონსულტაციების და სადიაგნოსტიკო ღონისძიებების ღირებულებას)	148.50

2. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მოცემული ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია თავში მითითებული თარიღიდან, წარმოადგენს 2023 წლის 22 თებერვლის N02/86 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.
4. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად.
5. წინამდებარე შეთანხმების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-სპეციალური პენიტენციური სამსახური	შპს „ვივამედი“
იულია ტყეშელაშვილი	თეიმურ მახმუდოვი